| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო … დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

---

ტფილისი, 20 მარტი

რაში გამოიხატა ქალაქის გამგეობის გადადგომა იმ გზიდგან, რომელზედაც იგი იდგა რამდენსამე ხანს და, შეძლებისამებრ, ემსახურებოდა საზოგადოდ ქალაქის წარმატებას და არა რომელისამე გვარ-ტომობის გაძლიერებას? ჯერ ხომ იყო და, თვით ამორჩევების დროს ქართველთა მოსვლა საშინლად იუცხოვა გამგეობამ. საქმე იქამდე მივიდა, რომ კრების თავმჯდომარე გაექცა ამომრჩევლებს, დაემუქრა ჟანდარმების სახელით და დაითხოვა კრება. ამ უადგილო საქციელმა ვერა უშველა-რა გამგეობას: ორის კვირის შემდეგ ქართველები უფრო ბლომად მივიდნენ და მესამე ხარისხის ხმოსანთა არჩევანები სულ თითონ ჩაიგდეს ხელში. გამგეობამ თავისი კანდიდატები ვერც ერთს ხარისხში ვერ გაიყვანა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო მისის ანგარიშებისთვის. როგორ უნდა ემოქმედნა ამ შემთხვევაში გამგეობას, თუ-კი მას უნდოდა პირნათლად გამოსულიყო გაჭირვებულ მდგომარეობიდგან? ჩვენის აზრით, გამგეობას ერთი პატიოსნური გზა დაუყენა წინ საქმის ვითარებამ, და ამ გზას უნდა დასდგომოდა. ამით იგი მოიპოვებდა უფრო უმეტეს პატივისცემას, ვიდრე დაიმსახურა თავისის წინანდელის მოღვაწეობით; არა თუ მარტო ქალაქის კეთილდღეობა და გამგეობის გაძლიერება, არამედ მარტივი სამართლიანობა და თვით სომეხთა წარმატება მოითხოვდა იმ გზას, რომ გამგეობა ღირსეულად და სიხარულით დაჰხვედროდა ახალ ხმოსნებს და ეთქვა: „აი, ჩვენო ტკბილო მოძმენო, დღემდე თქვენ სრულებით განზე ედექით ქალაქის ავკარგიანობას და სულ ჩვენ მოგვახვიეთ თქვენის სატახტო ქალაქის მოვლა-პატრონობა; ჩვენ ვიკისრეთ ეს მძიმე ტვირთი და ვატარეთ ისე, როგორც შეგვეძლო; ჩვენმა მოღვაწეობამ დღეს დაიმსახურა თქვენი ყურადღება და თქვენც აგეძრათ საქებური ხალისი, რათა ჩვენთან ერთად სწიოთ საქვეყნო ჭაპანი; დიდად სასიამოვნოა ჩვენთვის ეს ყურადღება; მობძანდით, გასინჯეთ ჩვენი მოქმედება, გვიჩვენეთ შეცდომილებანი, ჩავკიდოთ ერთმანეთს ძმურად ხელი და საერთო დახმარებით, ერთმანეთის წახალისებით ისე წავიყვანოთ ჩვენის ქალაქის საქმეები, რომ მტერს თვალები დავუყენოთ და მოკეთეს თავი მოვაწონებინოთო“.

აი, როგორ უნდა დაჰხვედროდა ქართველობას გამგეობა, რომ მას ტყუილის შიშისაგან დავთრები არ არევოდა. რა დიდი შედეგი და სანუკარი შედეგიც მოჰყვებოდა ასეთს საქციელს გამგეობისას, რამდენად განაკარგებდა და გაიპატიოსნებდა იგი საქციელი ქართველობისა და სომხობის ურთიერთობას, არა მარტო ტფილისში, არამედ მთელს საქართველოში და რამდენად დაითრგუნებოდა დღევანდელი სამარცხვინო შენ ჩემიაობა მათში, ამაზედ ნურარას ვიტყვით: ეს ყოველის მკითხველისთვის დღესავით ცხადია.

შიშისაგან ატანილ გამგეობას ეს გზა არც-კი მოუვიდა ფიქრად. იმან არც აცივა—არც აცხელა, ადგა, თავისისავე ხელით გადაბუგა თვისი კარგა ხნის საზოგადო მოღვაწეობა, მიაყარა ქვა და გუნდა, შლამი და ღორღი თვის მიერვე გაკვერილს გზას ქალაქის წარმატებისას, წავიდა და სინანულით მოეხვია მუხლზედ იმ ხმოსნებს, რომელნიც საქართველოს ყოველ ქალაქსა და სოფელსაც ისე უყურებენ, როგორც ფიანდაზს, რომელიც მათს გვარტომობას ფეხთა ქვეშ უნდა ეშალოს.

რა უნდა მოჰყოლოდა ასეთს მხდალ და სასაცილო საქციელს გამგეობისას? ისა, რომ წინასწარმეტყველის მწვანე დროშის მატარებლებმა მაშინათვე სიხარულით შეუნდეს გამგეობას მთელის თორმეტის წლის დანაშაული, რომ გვარტომობის დროშას არაფრად აგდებდა, ჩაისვეს უბეში, გადაათვარეს თავიანთი კალთა, აკურთხეს, დალოცეს და გაიყვანეს ახალ გზაზედ. პირველი და მოსაგონლადაც-კი სამძიმარი ხრიკი, რომელიც უგდეს ახალ ხმოსნებს მწვანე მედროშეებმა, იყო საჩივარი, შეტანილი ქალაქის საგუბერნიო კრებულში მასზედ, რომ მესამე ხარისხის ხმოსნები ვითომც უკანონოდ იყვნენ არჩეულნი და ჩაშალეთო, რათა სხვები ამოვარჩიოთო. აზრი ამ საჩივრისა ის იყო, რომ გამგეობისა და მწვანე ბაირაღის მომხრენი შეერთებულიყვნენ და მესამე ხირისხში ერთი ქართველიც აღარ ამოერჩიათ ხმოსნად. ქალაქის საგუბერნიო კრებულმა არ შეიწყნარა ეს საჩივარი და ამ სახით ქართველები, როგორც იყო, შევიდნენ საბჭოში. შეუდგა ახალი საბჭო მორიგ საქმეთა მართვა-გამგეობას.

რა შეიტანეს ახალი ახალმა ხმოსნებმა? კრიტიკის თვალით სინჯვა და განკითხვა ყოველ იმისი, რაც საბჭოსა და გამგეობაში საქმე ყოფილა, ან ახლად გაჩნდებოდა. ამ ახალ მიმართულების მომხრედ შეიქმნენ არა მარტო ქართველები, არამედ სხვებიც და უკეთესი ნაწილიც თვით სომხის საზოგადოებისა. საბჭოშიაც-კი აღმოჩნდა ორიოდე სომეხი ხმოსანი, რომელიც პირდაპირ აცხადებდა ამის მომხრეობას. პატივცემული მ. ი. თამამშოვი ხომ სულ ერთიან გაუდგა ბალიაღაობას და მთელის თავის თვალსაჩინო ღონით მიემხრო ახალ ხმოსანთა მიმართულებას.

თუმცა ასეთი სამართლიანი და კანონიერი იყო ახალ ხმოსანთა მიმართულება, მაგრამ გამგეობა ქალაქისა მეტად აიტკიცა და დიდად იწყინა ქართველებისაგან ასეთი გამბედაობა განკითხვისა. ქართველობამ არაფრად მიიჩნია ისა, რომ არჩევნებზე გამგეობა ურიგოდ მოექცა და მზად იყო ეგ მართლა და საწყენი ამბავი დავიწყებისათვის მიეცა და მასთან ერთად გასძღოლოდა საქმეს. გაიმართა ხანგრძლივი მოლაპარაკება, რომელიც გათავდა იმით, რომ გამგეობამ არ შეიწყნარა ახალ ხმოსნების სურვილი ქალაქის სამსახურისა და საგრძნობლადაც ამცნო, რომ უამათოდაც მას არა უჭირს-რა, რომ მათ საბჭოში ყოფნას არაფრად ჩააგდებს და, დანარჩენ ხმოსანთა შემწეობით, საბჭოს ატრიალებს თავის სურვილისამებრ. თითქო გამგეობა ეუბნებოდა ახალ ხმოსნებს— თქვენი კარგი მე არად მეპიტნავება და ავისა არ მეშინიანო; არ გვინდიხართ, თქვენს ყოფნას საბჭოში ჩვენ აინუნშიაც არ გავიტარებთო.

ამას შემდეგ რა-ღა ადგილი ექმნებოდა მოლაპარაკებას! გამგეობა დაადგა თავის ახალ გზას, ნაკურთხს მწვანე დროშის მატარე-

---

## ფელეტონი

### საკუთარი რამე-რუმე

(წერილი გურიიდამ)

დღეს ჩვენ მწერლობაში და დაწინაურებულ საზოგადოებაში დიდი ლაპარაკი და კამათობაა იმის შესახებ, თუ რა გვარი სასწავლებელი უფრო ეჭივრება ჩვენს ქვეყანას. „ივერიაში“ და „კვალში“ საკამათო საგნის გამო წერილებიც დაიბეჭდა. ზოგი ამბობს, თუ რამეს გვიშველის, ისევ გიმნაზიები და უნივერსიტეტები და ამ სასწავლებლებში არსებული კლასიკური განათლება გვიშველისო. ზოგიც იმ აზრისაა, რომ ჩვენი ქვეყანა ათადამ-ბაბადამ ხვნა-თესვითა და მეურნეობით არსებულა და ამიტომ ახლაც და მომავალშიაც რეალური განათლება გვესაჭიროებაო. კლასიკურ განათლების მომხრენი შიშობენ, რომ თუ ყველა მეურნეობას გამოვუდექით, სადღა გვეყოლებიან მკურნალნი, ლიტერატორნი, პედაგოგნი, ისტორიკოსნი, პოდპორუჩიკნი, კოლლეჟსკი - რეგისტრატორნი, ადვოკატნი, ბოქაულნიო და სხვ. რეალურ განათლების მომხრეთ კიდევ ის ეფიქრებათ, რომ თუ ყველა ნასწავლი კაცი კანცელარიებს მიაწყდა და ჩინ-ორდენების ძებნაში გაატარა სიცოცხლე, ჩვენი მდიდარი მიწა-წყალი უპატრონოდ დარჩება, გაველანდება და ხელიდამ გამოგვეცლებაო. უყურებ ამ კამათს და ასე გგონია, თითქო მოკამათეებს, ვისგანაც ჯერ არს, სრული და ხელ-შეუხებელი უფლება მოუპოვებიათ იმისი, რომ აიღეთ, დაიღეთ და რაც სასწავლებლები-კი თქვენ მხარეში არსებობს, თქვენის ნება-სურვილისამებრ ზოგი გააუქმეთ, ზოგი გადააკეთეთ და ზოგიც ახალი დააარსეთო. თუმცა ეს ასე ეგონება გულ-უბრყვილო მკითხველს, რომელიც საკამათო საგანს-კი არ უკვირდება, არამედ იმას, თუ რომელმა მოკამათემ უფრო მოხერხებულის, უფრო ხრიკიანის სიტყვით მოიხსენია მოწინააღმდეგე, მაგრამ საქმე სხვა ნაირია. აქ ლაპარაკი არის ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლათა შესახებ. ეს ორივე სკოლა ჩვენის ბანკების და, მაშასადამე, ჩვენ თავად-აზნაურთა ხარჯზე არსებობს. იქნება ეს სკოლები არავინ დაგიმადლოს და გაუქმება არავინ გისაყვედუროს, ხოლო სხვათა მადლი და საყვედური აქ რა მოსატანია? აქ მადლი იქნება თუ საყვედური, თითონ ჩვენმა მოსაზრებამ, ჩვენმა საზოგადო ანგარიშმა და ინტერესმა უნდა გვითხრას. ჩვენი საზოგადო ინტერესი-კი იმას გვეუბნება, რომ გეყოფა სხვა გვარი სიბეჩავე და მონობა, ნივთიერად დამოკიდებული-კი (матеріально зависимый) ნუ გახდები და, თუ უკვე გამხდარხარ, მოიშორე როგორმე თავიდამ აგეთი დამოკიდებულებაო.

ხომ ყველასათვის ცხადი და აშკარაა, რომ ნივთიერ დამოკიდებულებიდამ ზნეობრივ დამოკიდებულებამდე დიდი მანძილი არ არის. ისიც ცხადია, რომ ერთიცა და მეორეც საზიანო და სათაკილოა.

აქ თავისუფლად იბადება საკითხი, თუ რომელი გზა სად მიგვიყვანს.

დავადგეთ კლასიკურ განათლების გზას: დავამთავრეთ გიმნაზია, უნივერსიტეტი (რის ყოფით და ვაინაჩრობით, ღმერთმა უწყოდეს!), დავბრუნდით სამშობლოში იმ აზრით, რომ ვიცხოვროთ ჩვენთვისაც, მოძმეთათვისაც, მამულისათვისაც; დამოკიდებულება ნივთიერიცა და ზნეობრივიც სიკვდილად მიგვაჩნია... ვლაპარაკობთ მაღალ ფარდების სიტყვებით, ვქადაგობთ გამოჩენილ მეცნიერთა აზრებს... ვსწერთ, რომ სხვა კურთხეულ ქვეყანაში მკვიდრნი ასე და ასე ბედნიერად ცხოვრობენო. ვსტირით, რომ ჩვენ „მრავალ კერძო და მრავალ სახით“ დაქვეითებულნი ვართ და სხვა და სხვა. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, სიტყვით ძლიერნი საქმით უსუსურნი დავრჩით. ვხედავთ, რომ მეტ ბარგად და მუქთა-ხორად ავეკიდეთ ოჯახსა და საზოგადოებას. გვშურს ხვედრი დათიკასი და ივანიკასი, რომელნიც ისე მოხერხებულნი არიან, რომ ჭირსაც უძლებენ, ლხინსაც, მტერსაც, მოყვარესაც, ავსაც და კარგსაც. ჩვენ ვერც ერთს ვერ გავუძელით. ავიღეთ ნივთიერი და ზნეობრივი დამოკიდებულება, მაღალ ფარდების სიტყვები, გამოჩენილ მეცნიერთა აზრი, ჩვენი საკუთარი რწმენა, ლტოლვილება და ყოველივე ეს რომელსამე კანცელარიაში დავაგირავეთ. სულითაც გავიყიდეთ და ხორცითაც... მაგრამ თავ-მოყვარეობა გვატყუილებს, რომ ეს უეჭველად ასე უნდა მომხდარიყო, რადგანაც „ჩვენ კანცელარიებში ჩვენი კაცი იქმნება“. სანიდისი-კი—ეს მიუდგომელი და სასწორ-მართალი მსაჯული გვეჩურჩულება, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ჩვენის საკუთარის კუჭის ქავილი მოვიფხანეთ, ისიც დროებით და სხვა არა გვიკეთებია-რა.

ამ გვარი მეხი უმცირესობას დაეცა. უმეტესობა, ДОКЛАДНАЯ ЗАПИСКЪ“-ით აღჭურვილი, დღესაც ხან ერთის დაწესებულების კარებს მიადგება და ხან

ბელთა მიერ; ქართველობამაც თავისი გზა ამოირჩია, რომ ქალაქს ემსახუროს შეძლებისამებრ, მისი ნაჭირნახულევი ქონება არავის გაათანტვინოს და ყოველივე საქმე ქალაქისა განკითხულ, გამოძიებულ და წინად დანახულ იქმნას ისე, როგორც შეეფერება და გამოადგება ქალაქის კეთილ-დღეობას. ამ გზამ მიიზიდა გული სხვა ხმოსნებისაცა, რომელთაც გაგებული და ცნობილი აქვთ, რომ ქალაქის ხმოსნობა მარტო ერთის გვარ ტომობის პრივილეგია არ არის და არც იმის საჭიდაოა, რომ ჩვენ ვიყნეთ და თქვენ არაო.

მოქალაქე

# ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა მისწერა ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნატორებს, ამ ბოლო დროს მთავარ-მართებლის კანცელარიას დიდ-ძალი თხოვნა მოსდის სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებისაგან, რომელნიც თხოულობენ ლატარიების გამართვის ნებას, როდესაც კანონის ძალით ასეთს საზოგადოებებს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უნდა მიეცეთ ლატარიების გამართვის ნებაო. ამიტომ, ბრძანებს მთავარ მართებელი, როცა რომელიმე საზოგადოება გუბერნატორს ლატარიის გამართვის ნებასა სთხოვს, თხოვნაში დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული, ვის სასარგებლოდ იმართება ლატარია, ნივთების ფასები, ბილეთის ფასი და სხვა, ამასთანავე გუბერნატორებს ებძანათ მხოლოდ ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში დართონ ნება ლატარიების გამართვისა.

*** ორშაბათს, 22 მარტს, კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს. საბჭო მოუნდა განხილვას გამგეობის მოხსენებისას შესახებ იმისა, რომ საჩუქარი მიეცეთ ქალაქის აგენტებს. საბჭომ დაადგინა მიეცეთ 2514 მ. 38 კ. ქალაქის მოურავმა სთხოვა საბჭოს, რომ გამგეობის კანცელარიას, ბუღალტერიისა და სხვა განყოფილებათა მოხელეებსაც მიეცეთ საჩუქარი 2354 მანეთი 50 კაპ., რადგან, დიდი ხანია, არა ვითარი საჩუქარი არ მიუღიათ ამ მოხელეებსაო. ეს წინადადებაც შეიწყნარა საბჭომ. შემდეგ საბჭომ მოისმინა ქალაქის გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ დახარჯა ქალაქმა სამ-ოცი-ათას მანეთზედ მომეტებული ფული ხოლერასთან საბრძოლად და რა ღონისძიებანი იყო ნახმარი ამ ფულით. საბჭომ დაადგინა: დიდი მადლობა გამოუცხადოს გამგეობამ ქალაქის პირით უფროს ექიმს მიხეილის საავადმყოფოსას ბ-ნ გოლბეკს და გარდასცეს მას ორ-მოც-და-ათი თუმანი საჩუქრად ფერშლებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს ხოლერით ავადმყოფს ხალხს; ასეთივე მადლობა გამოუცხადოს უფროს ექიმს სამხედრო სამკურნალოსას ბ-ნ მალინინს და გარდასცეს ოცდახუთი თუმანი ფერშლებისა და მოსამსახურეების დასაჩუქრებლად; ორმოცდა ათი თუმანი გარდასცეს ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს გასანაწილებლად „გოროდოვებთა“ შორის, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ქალაქს ხოლერიანობაში.

*** რუსეთის სააღგილ-მამულო ბანკებს, მთავრობის განკარგულებით, ორი ახალი უფლება მიენიჭათ. პირველი ისა, რომ ბანკებს შეეძლოთ ორის თვის მაგივრად ექვსი თვევადა მისცენ მესხებელთ ვადიან გარდასახადის შემოსატანად. ეს დიდი შეღავათია მესხებელთათვის. მეორე კიდევ ის არის, რომ ბანკებს შეუძლიანთ, თუ მამული, ვაჭრობით გასასყიდად დანიშნული, ბანკს დარჩა, ერთის წლის განმავლობაში გაანაღდონ. აქნობამდე-კი ექვსის თვის მეტი არ შეიძლებოდა მამული ბანკის გამგებლობაში ყოფილიყო.

*** საქალაქო მმართველობის ექიმის გ. გ. მაღალაშვილს ჩაჰბარდა მეშვიდე საპოლიციო განყოფილების რაიონი, ე. ი. ავლაბარი. ხოლო ბ-ნ მაღალაშვილის ადგილს დანიშნულ იქმნა ექიმი პროზოროვსკი.

*** ექიმმა ხუდადოვმა 21 მარტს წაიკითხა ტფილისის სახელმწიფო თეატრში ლექცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ბრძოლა ხოლერასთან. ხალხი ბლომად დაესწრო და დიდის ყურადღებით მოისმინა ლექტორის ყველასათვის ადვილად გასაგები ლექცია.

მეორე ამისთანავე ლექცია წაკითხულ იქმნება 31 მარტს პუშკინის თეატრში, მიხეილის ქუჩაზე.

*** ტფილისის პირველ გიმნაზიის დირექტორს, ბ-ნ ლ. ლ. მარკოვს, მიუწვევია ექიმი ლუნკევიჩი, რომელიც პარასკევს, 26 მარტს, გიმნაზიის მოსწავლეთ წაუკითხავს ლექციას ხოლერის შესახებ. დიდად სასურველია, რომ სხვა სასწავლებელთა უფროსებმაც მიჰყვნენ ამ მაგალითს და ასწავლონ უფროსის კლასების შეგირდებს ის ღონისძიება, რომლითაც შესაძლოა ხოლერის აცილება ანუ მასთან ბრძოლა. ეს მოსწავლენი მომავალ ზაფხულს მთელს ჩვენს ქვეყანას მოედებიან და დიდს დახმარებას აღმოუჩენენ ჩვენს ამ საქმეში უვიცს ხალხს.

*** ტფილისის საქალაქო ლაბორატორიაში ყოველ დღე მრავალი ყიჩინა მიაქვთ გასასინჯად, სტრიხნინით ხომ არ არის მოწამლულიო. თითო ყიჩინაზე ლაბორატორია იღებს ქალაქის სასარგებლოდ 25 კაპ. ამ რიგად 1 მარტიდგან 18-მდე 2000 მან. აუღია ლაბორატორიას.

*** ქალაქის მოურავი სთხოვს ტფილისის პოლიცმეისტერს ნება დართოს ქალაქის ყასბებს, რომ მათ შეეძლოთ ბატკნების დაკვლა ორ ადგილას შუაგულ ქალაქში მტკვრის პირად.

*** რადგანაც სააღდგომოდ მრავალი ხორაგი მოაწყდება ქალაქს და ჩარჩებიც დაფაცურდებიან, რომ სოფლის ხალხს ხელიდგან გამოაცალონ გასასყიდად ჩამოტანილი ხორაგეული და იაფად ნაყიდი მერე თვითონ ძვირად გაჰყიდონ, ამისათვის ქალაქის მოურავი სთხოვს ტფილისის პოლიცმეისტერს რამდენიმე ყაზახი მიუჩინოს ქალაქის მოედნებს, რომ ჩარჩების ხრიკი და ძალადობა სოფლის ხალხს ააცილონ.

*** ქალაქის სამმართველომ დააწესა კომისია, რომელიც შესდგომია ბაღების მოშენებას სხვა-და-სხვა ადგილას და უვლის ყველა საქალაქო ბაღებს. ამ კომისიას წლეულ 5000 მანეთით მეტი მიეცა ბაღების მოსაშენებლად, ვიდრე წინად ეძლეოდა.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა ლუი პასტერისაგან „ვიზიტის კ რტოჩკა“ ზედ წარწერით, რომლითაც მეცნიერი მადლობას უცხადებს საზოგადოებას იუბილეის მილოცვის გამო და საპატიო წევრად არჩევისათვის.

*** შარშან ხოლერობის დროს რკინის გზის დაბალ-ხარისხის მოხელეთ ჯამაგირები მოემატათ, თვითოს 25%. ამ მცირე მომატებით შესდგა სულ 18,859 მან. და 46 კაპ.

*** თიანეთიდგან გვატყობინებენ, რომ მთელ მაზრაში ხალხი დიდად გაჭირვებულია სიმშილისაგან, ვითომც ზოგ ადგილას კოდი პური 3—5 მანათად იყიდებოდეს და შოვნაც არ იყოს.

*** ბათუმი: 21 მარტს დღისით 12 საათზე და 30 წ. მატარებლის ქვეშ ჩავარდა და მარჯვენა მკლავი მოეწყვიტა ბათუმის ოლქის სოფელ აგაროს მცხოვრებს იოსებ ბაქრაძეს, 70 წლისას, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა): მარტის პირველ რიცხვიდამ ცამეტამდე კარგი დღეები იდგა; გვეგონა, ეს არის, გაზაფხული დადგაო, მაგრამ ცამეტ მარტიდგან მოკიდებული ოცამდე თითქმის ყოველ დღე თოვდა, მეტადრე 19 და 20 დიდი თოვლი დასდო, თან ყინვა და ქარი დაერთო, ასე რომ ამისთანა უამინდობა იანვარშიაც არა ყოფილა. ყველას უკვირს, მარტში ამისთანა დღეებს არ შევსწრებივართო. მტკვარ გაღმა უფრო დიდი თოვლი მოვიდა; ალაგ-ალაგ ნახევარ არშინზე მეტია.

*** სოფ. ჯურჯუკეთი (ოზურგეთის მაზრა): სუფსის სადგური შორს არის ჩვენზედ, ხოლო ლანჩხუთისა 7—8 ვერსის მანძილზეა. ამის გამო რკინის გზა ჩვენ თითქმის არავითარს სარგებლობას არ გვაძლევს. დაარსდა ჯუმათის სადგური, მაგრამ ამ სადგურზე არც ბილეთები იყიდება, არც საქონელს იღებენ გასაგზავნად; არც მატარებელი ჩერდება ხალხისათვის. კორესპონდენციას გადმოჰყრიან ვაგონიდამ და, ვისაც მოჰხვდება, იმას მიაქვს ჟურნალია, გაზეთი, თუ წერილები. ძრიელ ახლო-კია ჩვენზედ ეს სადგური, სულ 2—3 ვერსი არ იქნება. 2 მარტს აქ მობრძანდა მაზრის უფროსი. გლეხ კაცობა დახვდა უფროსს, მიართვა განაჩენი სოფლისა და სთხოვა, გვიშუამდგომეთ, რომ ჩვეულებრივი წეს-რიგი იყოს ჯუმათის სადგურზედაცაო. მაზრის უფროსმა ყოველივე თავის თვალით ჰნახა და დაგვპირდა შემწეობას. თუ არ აგვისრულდა სურვილი, ძალიან გაგვიჭირდება: სიმინდია ჩვენი წყარო ცხოვრებისა და ვერსად წაგვიღია. ისეც დაფოლებულია მისი ფასი და ახლა გზის ქირასაც ვიხდით ლანჩხუთამდე, ფუთზე 10—12 კაპეიკს. ჯუმათში-კი რომ საქონელს იღებდნენ, ეს ფული ჯიბეში დაგვრჩება.

*** ქუთაისიდგან სწერენ გაზეთ Кавказъ-ს, რომ კვირას, 21 მარტს, ქუთაისის საკრედიტო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებამ დიდის ხმის უმეტესობით საზოგადოების დირექტორად ისევ ბ-ნი ქუთათელაძე აირჩია. საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ კოკოჩევი და კიზირია.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ალი** (გორის მაზრა). სამრევლო სკოლის დაარსება განიზრახა ალის საზოგადოებამ, იღუმენ ლეონიდის რჩევით და ჩაგონებით. ყველა აქ მცხოვრები, თავადი თუ გლეხი, გულმოდგინედ მიეგება ამ კეთილ საქმეს და სკოლის გამართვა მაშინადვე მოინდომა. შენობას დროებით, ვიდრე ახალი აშენდებოდა, უსასყიდლოდ აძლევდნენ მღვდელიც, თავადიც და გლეხიც. მასწავლებელი იგუმენ ლეონიდს ეხლავე უნდა გამოეგზავნა. პირველ ხარჯისათვის აქედ-იქიდგან შესწირეს ფული. ხოლო ახალი შენობა ამ გაზაფხულზედვე უნდა დაე-

---

მეორისას, იხვეწება, იმუდარება, ფიცავს, რომ ყოველთვის „благонадежный“ ვიყავი, ამის წინააღმდეგი არაოდეს აზრადაც არ გამიტარებია თავში, მოიღეთ წყალობა, მომეცით ალაგიო, მაგრამ „нѣть вакантныхъ мѣстъ“-ო, ეუბნებიან. ასეთ გარემოებათა წყალობით უმეტესობა სამუდამოდ მუთაქა-ხორად რჩება.

რაც მოგახსენეთ, ის თავის მეტ-ნაკლებობით უნივერსიტეტ დამთავრებულთა შესახებ ითქმის. ახლა ვიკითხოთ, რა მოუვიდა იმათ, რომელნიც შუა გზაზე დარჩნენ, ე. ი. რომელნიც გიმნაზიას არ გასცილებიან? ზოგი მათგანი ლოთი-ფოთობს, მამაპაპეულ დოვლათს აქრობს, ხმლითა, ხანჯლითა და დამბაჩით ვარჯიშობს. დაწვრილებით-კი მათს ბიოგრაფიას, ადრე იქნება თუ გვიან, ბრალ-მდებელნი გვეტყვიან. ზოგმაც იმდენად იმარჯვა, რომ კერძო ვექილობის ნება იშოვა და უვიც ხალხსა ჰყვლეფავს. ზოგიც უსაქმოდ და უსაგნოდ კარდა-კარ დადის და სხვის პურ-მარილზე კომმუნის შესახებ ლექციებსა კითხულობს.

დავადგეთ რეალურ განათლების გზას, ანუ, უკედ ვსთქვათ, ამ განათლების ერთს დარგს — მეურნეობას.

შევიძინეთ ჩვენ ჰავასა, ნიადაგსა და მიწა-წყალთან შეფერებულ-შეხამებული სწავლა-ცოდნა მეურნეობისა. დავუბრუნდით ოჯახს და მამაპაპეულ მიწა-წყალს. დაიმედებულნი ვართ ჩვენს საკუთარ ცოდნას, უნარსა და მარჯვენაზედ. დამოუკიდებელნი ვართ ქონებრივადაც და ზნეობრივადაც. საკუთარის ოფლითა და ამჯელობით ვუვლით, ვპატრონ-გობთ, ვაშენებთ და ვაკარგებთ სამშობლო მიწა-წყალს, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა სისხლისა და ხმლის შემწეობით შეინარჩუნეს და დაგვიტოვეს. დღიურის ლუკმის სხვისი შემაყურალი აღარა ვართ. ფინია ძაღლსავით კუდის ქნევა და ლაქუცი აღარ გვესაჭიროება. ვიცით შრომა, ვიცით შრომის დაფასება და სასყიდელიც. რა-კი შრომაში შევებით და მუქთახორა აღარა ვართ, გლეხები — ეგ შრომისა და გარჯის ღვიძლი შვილებიც დაგვიახლოვდნენ; თავიანთი გულის ნადები და სულის კვეთება გადმოგვცეს და გაგვიზიარეს..... ჩატეხილი ხიდი“ გამთელდა. ერთობილის ძალით, ერთობილის მხნეობითა და შრომით მოვიპოვეთ ეკონომიური კეთილ-დღეობა. ღვინოც ბევრი გვაქვს, პურიც და ფულიც, ხოლო კაი გული ყოველთვის გვქონდა და გვექნება. მოვკვდებით ჩვენს მამულში და დავიმარხებით „ჩვენ წინა-პართა საფლავებ შორის“... ჩვენთა შვილთა, შვილის-შვილთა და შორეულთა ნატამალთა კანცელარიებში-კი არ მოუნდებათ ძებნა იმისი, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ*), არამედ თვალ-წინ ექნებათ გადაშლილი ჩვენი ნაშრომი და ნაამაგარი. ჩვენი ქვრივი და ობლები აღარ იქნებიან იძულებულნი პენსია გამოითხოვონ მოწყალებასავით, არამედ ჩვენ სიცოცხლეშივე ჩვენგან დალვრილის ოფლის წყალობით იქნებიან უზრუნველ-ყოფილნი.

*) ბევრ სანუგეშო ამბებსაც ამოიკითხვენ „ნასტოლნი რეესტრებში“ და „პროტოკოლებში“ აი!

ასოთ-ამწყობი.

ამ ნაირად, ვისაც-კი ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად წარმატება სურს, რეალურ განათლებას საზოგადოდ და სამეურნეოს კერძოდ უარს არ უნდა ჰყოფდეს. ჩემის აზრით ყოვლად სასურველია, რომ ამ შემთხვევაში ტფილისის და ქუთაისის ბანკი შეერთდეს და სათავად-აზნაურო სკოლები ერთს უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლად გადააკეთოს. რა ვუყოთ, რომ ხარჯი მეტი მოვა! სამაგიეროდ ეს იქნება მადლიანი საქმე, საქვეყნო და საშვილი-შვილო, რომლის მეოხებითაც შევვეძლება სამშობლო მიწა-წყალი მოვაშენოთ და შევინარჩუნოთ, ნივთიერად მოვღონიერდეთ და საკუთარ ჰერ ქვეშ სტუმრად აღარ დავჩეთ...

ტყუილი და უსაბუთო შიშია, თუ ასე მოვიქეცით, ვითომც არ გვეყოლებიან ლიტერატორნი, მკურნალნი, პედაგოგნი, ისტორიკოსნი და სხ. მთავრობის მიერ დაარსებულ პროგიმნაზიებს, გიმნაზიებს, უნივერსიტეტებს, აკადემიებს და ინსტიტუტებს ხომ არ ვაუქმებთ?! ვისაც ნიჭი, სურვილი და ღონის-ძიება ექნება, ვინ დაუშლის ამ სასწავლებლებში შესვლას, თუნდ საზღვარ გარედ წასვლას სწავლისა და მეცნიერებათა შესაძენად!..

როცა ასეთი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, თუ რა გვარი განათლება მოუხდება ჩვენს ქვეყანას, ყოველთვის უმეტესობა უნდა გვყავდეს სახეში და მაშინ, საიდამაც უნდა დავიწყოთ ლაპარაკი, ძველის საბერძნეთიდამ, თუნდ ბაბილონიდამ და ეგვიპტიდამ, მაინც იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა უმეტესობისათვის საზოგადოდ რეალური და კერძოდ სამეურნეო განათლება ფრიად და ფრიად საჭიროა. ამის წინააღმდეგს ის იტყვის მხოლოდ, ვისაც „ვოლნოოპრედელიაიუშჩთა“ და „სვერხ-შტატნი ჩინოვნიკთა“ გამრავლება ჩვენის ქვეყნისათვის სანუგეშო ამბავი ჰგონია.

დათიკო ვერმიცანაშვილი

წყო სოფელს; ადგილიც ამოუჩინეს და ხე-ტყესაც უსასყიდლოდ დაჰპირდნენ, სხვა მასალა სოფელშიაც მოიპოვება. ერთის სიტყით, საქმე გაჩარხული იყო და კიდეც უნდა შევდგომოდით, მაგრამ ერთმა მცირე გარემოებამ ხელი შეგვიშალა.

გამოგვიჩნდა ერთი კეთილის-მყოფი, „სარწმუნოებით სომეხი, მაგრამ საქართველოში დაბადებული და აღზრდილი“ და ამიტომ გულით ქართველი, რომელმაც ხალხს გამოუცხადა, ჩემი სახლი სკოლისთვის მუქთად დამითმია ორის წლითაო. ხალხმა დაიხვია ხელზე ეს სიტყვა და ახალ შენობის აგება გასაგონებლადაც ახლო არ მიიკარა.

მუქთი სახლი-კი ისეთია, რომ იმის შეკეთებას თითქმის ახალის აშენება სჯობია, უფრო იაფად დაჯდება და სამუდამოდ მაინც დარჩება სოფელს. რომ იკისროს კიდეც სოფელმა ამ სახლის შეკეთება, ორის წლის შემდეგ ხომ ისევ ეს დღე დაადგება და ახალის შენობის აგება არ ასცდება.

სოფ. ვაყაშიაც ვერ წავიდა კარგად სამრევლო სკოლის საქმე. აქაც უნდოდათ სამრევლო სკოლის დაარსება და „სარწმუნოებით სომხებმა, გულით-კი ქართველებმა“, ცოტა არ იყოს, ხელი შეუშალეს. თუ სომხის ტერტერაც იქნება მასწავლებლად, ხომ კარგი, თუ არა და სკოლას ვერ ეღირსებითო. სამწუხარო ის არის, რომ ეს კეთილის-მყოფნი მებატონეთაგანნი არიან და ხალხი იმათ წყენას ერიდება. თუ ამ კეთილის-მყოფებს, მართლა სიკეთე უნდათ ხალხისათვის, ისევ ისა სჯობია, ქართველთა სამრევლო სკოლის საქმეს ცალკე შეეწიონ, ხოლო სომეხთ ყმაწვილებისთვის ტერტერას დაავალონ ცალკე სამრევლო სკოლის დაარსება.

პარმენ მაჭარაშვილი

---

**სოფ. ბაკურციხე** (სიღ. მაზ). 16 მარტი. აქაურ მებატონეთ ბევრჯელ ჰქონიათ ბჭობა და რჩევა ერთმანეთ შორის საზოგადო ყრილობაზედ, შესახებ თავიანთის საერთო გაუყოფელ ტყეების შეკვრისა და დაზოგვისა. ბევრს ეცადნენ და მრავალი საშუალება მიიღეს, რომ როგორმე გადაერჩინათ ტყეები დაღუპვისაგან, მაგრამ მათმა ყოველ გვარმა მეცადინეობამ დღევანდლამდის სულ ამაოდ ჩაიარა და ტყეები ისევ იმ უბედურს მდგომარეობაშია, როგორც ამას წინად იყო: ისევ ისე უკანონოდ, უწესოდ და უზომოდ ჰკაფავენ და ჰღუპავენ. დღეს ალაგ-ალაგ ბევრგან ცარიელი მინდვრები მოსჩანს ამოვარდნილ ტყეების ადგილებზედ. ვინ არის ამ უწესო მომხმარებელთა დამშლელი?. ვისაც მკლავში ღონე და ტანზე კარგი იარაღი აქვს, ტყეების მეფეც ის არის და აბა წინ ვინ დაუდგება. დღევანდლამდის ასეთს დგომარეობაშია ჩვენის ტყეების ბედი და არ ვიცი, როდის ეღირსებათ წესიერი და ზომიერ სარგებლობა ყველა მონაწილეებსა.

აი ამას წინად კვლავ ჰქონდათ ხსენებულ მემამულეთ ყრილობა და სხვათა შორის ერთმა მონაწილეთაგანმა წარმოსთქვა თავისი აზრი და აღუთქვა კიდეც, მე შევარდგენ ურთიერთშორის პირობის ქაღალდს და წაგიკითხავთო. თუ მოგეწონებათ ჩემი აზრი, მევე მომანდეთ კანონიერად ტყეების საქმეო და მე ვიცი, როგორც შევკრავ და შევინახავო. სარგებლებიც დიდი გვექნება ყველას, ოღონდ გარეშეებს ნუ დავაღუპინებთო.

აი ამას წინად ეს პირობის ქაღალდი უკვე წაუკითხავთ საერთოდ და თითქმის ყველასაგან მოწონებულ იქმნა და ხელიც მოაწერეს (გარდა ათიოდე კაცისა). ყოველ წლიურ ხარჯად გადასდეს 4200 მანეთი. 4 თვეში ერთხელ ანგარიში უნდა მოხსენდეს საერთო კრებას. ღმერთსა ვსთხოვთ, თავი დაიჭიროს ამ ახალმა მაქმემ მაინც.

შაქრო ვ—ძე

---

## შევუდგეთ!

ჰენრიკ სენკევიჩისა

### I

ქაი სეპტიმ ცინნა რომის პატრიცი იყო. ახალგაზდობა მტერთან ბრძოლაში გაატარა და შემდეგ დაბრუნდა რომში, რათა ეხლა სიამოვნებისთვის მიეცა თავი და დამტკბარიყო სახელით, ფუფუნებით და თავის დიდის მამულის შემოსავლით. ცინნა მხურვალედ დაეწაფა სიამოვნების ფიალას და მალე გაძღა კიდეც ამ სიამოვნებით, მალე მოჰბეზრდა ყველაფერი. ღამეებს ქალაქ გარედ მშვენიერ ბაღებში ატარებდა და ამხანაგებთან ერთად ქეიფობდა. დღისით რიტორებთან მუსაიფში დროს ატარებდა, სადაც სხვა-და-სხვა კამათობა იყო ხოლმე გახურებული და აქვე შეეძლო ქალაქის ყოველ გვარი ჭორებიც შეეტყო; სტკბებოდა ცირკში სხვა-და-სხვა სანახავით და ფალავნების ბრძოლა-ჭიდაობით მოედანზედ, ფრაკიის მკითხავ-ჯადოსანთა და არქიპელაგის კუნძულებიდგან მოყვანილ ტურფა მოცეკვავე ქალთა შორის. განთქმული ლუკული ცინნას ნათესავი იყო დედით და ცინნასაც იმისაგან თუ დაჰყვა საუკეთესო საჭმელების სიყვარული. ცინნას სადილად მოართმევდნენ ხოლმე საბერძნეთის ღვინოებს, ნეაპოლიდგან მოტანილს ლოკოკინას და პონტის მსუქანს კალიას, თაფლში მოშუშულს. რაც-კი რომში იშოვებოდა: წითელ ზღვის თევზეული, ბორისთენის ნაპირიდგან მოტანილი თურაჯი, ყველა ეს ცინნასთვისაც უნდა მიერთმიათ. ცინნას გულა ესტეტიკურ გრძნობითაც იყო გამსჭვალული: უყვარდა ქანდაკებანი, კორინთის ნანგრევებში ნაპოვნი, ეტრუსიასა ან სერიკუმიდგან მოტანილი ფიალები, ეფრატის ქსოვილები და სხვა... ცინნას ძლიერ უყვარდა ყველა ამ ნაშთთა შესახებ ლაპარაკი უკბილო მოხუცებთან, რომელნიც მეჯლისისთვის მელოტს თავს ვარდის გვირგვინებით შეიმკობდნენ ხოლმე და ნადიმს შემდეგ სურნელოვან ყვავილებსა ღეჭავდნენ, პირიდგან კარგი სუნი ამოგვივიდესო. პოეზიის უვიციც არ იყო ცინნა. იცოდა ჰორაციოს და ოვიდიის ლექსები, ჰომიროსის ილიადა და მეჯლისის დროს იმდენს ხანს შეეძლო ანაკრეონის ლექსების მღერა, ვიდრე დაითრობოდა, ან ხვრინვას ამოუშვებდა. იცოდა ცოტაოდნად ფილოსოფიაც. იცნობდა სტოიკებს, მაგრამ არ მოსწონდა-კი, და ამბობდა, სტოიკებს ამა ქვეყნის სიამოვნებისა არა გაეგებათრაო. ხშირად დრო უტარებია სკეპტიკებთან ერთად, რომელნიც, ღვინით სავსე აზარფეშით ხელში, ალიარებდნენ, რომ სიამოვნება—ამაოებაა, სიმართლე—რაღაც მიუწდომელი და გაუგებარი საგანია და ერთად-ერთი სურვილი ჭკვიანის კაცისა—საუკუნო განსვენებააო.

ყველა ეს ესმოდა ხოლმე ცინნას, მაგრამ არაფრისთვის ყურს არ იბერტყავდა, არა სწამდა რა. კატონზედ ამბობდა, რომ ამ კაცში შეერთებულ იყო დიდი ძალ-ღონე და დიდი სისულელეო. ადამიანის ცხოვრება ზღვააო, რომელზედაც ქარი იქითკენა ჰქრის, საითაც მოისურვებს და ერთად ერთი სიბრძნე ის არისო, კაცმა ისე გამართოს თავის ცხოვრების ხომალდის იალქნები, რომ ქარმა წინ წასწიოსო. გარდა ამისა დიდად აფასებდა თავის ტანადობას, მსხვილ მხარ-ბეჭსა და ვაჟკაცურს სილამაზეს. ცინნა დარწმუნებული იყო, ყველა ეს ჩემთვის სრულიად საკმარისია, რომ ჩემი დღენი სიამოვნებით დავლიოვო.

ეპიკურის ფილოსოფია ზედ მიწევნით არ იცოდა და ამიტომ ამბობდა, ეპიკურის ნამდვილი თანამოაზრე ვარო. საზოგადოდ ცინნას ფილოსოფია ტვინის ვარჯიშობად მიაჩნდა, ისეთს ვარჯიშობად, როგორსაც ლანისტები ასწავლიდნენ. როცა ბაასით მოიქანცებოდა, ცირკში მიდიოდა და სისხლის ღვრის ცქერით სტკბებოდა.

ღმერთები არა სწამდა, ისე როგორც არა სწამდა სათნოება, ჭეშმარიტება, სიმართლე და ბედნიერება. ცინნას სწამდა მხოლოდ რამლის ყრა, მისდევდა ცრუ მორწმუნეობას და აღმოსავლეთის, საიდუმლოებით მოცული სხვა-და-სხვა სარწმუნოება მუდამ გონებას უღელავდა. მონათათვის კეთილი ბატონი იყო და ურიგოდ არ ექცეოდა, თუ ხანდახან მოწყენილება გულში სისასტიკეს და სიმკაცრეს არ აღუძრავდა. ადამიანის სიცოცხლე აზარფეშააო და ამ აზარფეშას მაშინ უფრო მეტი ფასი აქვს, როდესაც უკეთეს ღვინით აავსებო და სცდილობდა, თავისი აზარფეშა საუკეთესო ღვინით აევსო. ცინნას არავინ არ უყვარდა, მაგრამ ზოგიერთი საგანი-კი მოსწონდა, სხვათა შორის თავისი საკუთარი ლამაზი სახე და პატარა, მოხდენილნი, მის გვარიშვილობის შესაფერი ფერხნი.

პირველ ხანებში ცინნას ესიამოვნებოდა, მთელი რომი თავის უცნაურის ქცევით გაეკვირვებინა ხოლმე და ხანდახან ამას ახერხებდა კიდეც. მაგრამ მერე ესეც მოჰბეზრდა.

### II

დასასრულ ცინნა გაღარიბდა. სარჩო-ქონება მოვალეებმა გაიყვეს. ცინნას ერთად ერთი გრძნობა-ღა შერჩა. საშინლად დაღლილად მიაჩნდა თავისი თავი, თითქო ძლიერ ბევრი უშრომიაო, ყველაფერი მოჰბეზრდა და ამასთანავე იგრძნო რაღაც მღელვარება, რაღაც მოუსვენრობა სულისა. ნეტა რაღა უნდოდა, რაღა აწუხებდა? ხომ დასტკბა სიმდიდრით, სიყვარულით, როგორც ესმოდათ იმ დროს სიყვარული, დასტკბა ფუფუნებით, მეომარის სახელით; ცოტად თუ ბევრად შეიგნო ადამიანის ჭკუა გონების საზღვარი, შეიტყო, რა ყოფილა პოეზია, ესტეტიკა—მაშასადამე დასტკბა ყველა იმით, რასაც-კი ადამიანის ჭკუა გონება მისწვდებოდა. მაგრამ მაინც ისეთმა გრძნობამ დაიმორჩილა, თითქოს რაღაც ისეთი რამ ირ მიცდია და არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში, რაც-კი ადამიანისთვის საუკეთესო და სანეტარო რამ არისო. თითონ არ იცოდა, საიდგან და როგორ დაებადა გულში ეს უცნაური გრძნობა. სცდილობდა, ეს გრძნობა გულიდგან აღმოეფხვრა, სცდილობდა თავის თავი დაეჯერებინა, რომ ამ ქვეყნად აღარა დარჩა-რა მისთვის გამოუცდელი, რომ ამ ქვეყნად აღარა არის-რა სასიამოვნო, მაგრამ რამდენსაც მეტსა სცდილობდა ამას, იმდენად ეს უცნაური გრძნობა თითქოს იზრდებოდა და ცინნა ჰფიქრობდა, რომ ეს გრძნობა მარტო იმას-კი არა, მთელს რომს მალე დაიპყრობს და დაიმორჩილებსო. ერთსა და იმავე დროს ჰშურდა კიდეც სკეპტიკების გულის სიდინჯე და სულელებსაც ეძახდა, მისთვის, რომ სკეპტიკები ამტკიცებდნენ, არარაობა არარაობითვე შეივსებაო. ცინნას გული თითქოს ორად გაიყო: ერთს უკვირდა, ეს დაუდგრომლობა სულისა საიდგან გაჩნდაო და მეორე-ეს-კი სწამდა, ამ სულის კვეთებას თავისი საბუთი და საფუძველი აქვსო.

ცოტა ხანს შემდეგ, როცა ცინნა გაღარიბდა, ყოვლად შემძლებელ ნათესავების წყალობით ალექსანდრიაში გაჰგზავნეს ამ ქვეყნის მმართველად, უფრო იმ განზრახვით, რომ იმ მდიდარ ქვეყანაში კიდევ სიმდიდრეს შეიძენსო. ცინნას თან გაჰყვა ისევ ის მოუსვენრობა და დაუმდგრომლობა სულისა და გზაშიაც არა ჰშორდებოდა. ცინნას ეგონა, ალექსანდრიაში სულ სხვა ხალხსა ვნახავ, სხვა ბუნებას, სხვა გრძნობათა ღელვას გამოვცდი და ეს სულის კვეთება მომშორდებაო. მაგრამ ამაოდ. განვლო ერთმა თთვემ, ორმა, და როგორც იტალიიდგან მოტანილი თესლი დემეტრისა დელტას ნიადაგზედ უფრო კარგად იზრდება და იშლება, ისე ის უცნაური გრძნობა გაიზარდა და ცინნას სული და გული დაჩრდილა.

პირველად ცინნას ჰსურდა ეს უცნაური გრძნობა ისეთის ცხოვრებით ჩაეჩუმებინა, როგორ ცხოვრებასაც რომში ატარებდა. ალექსანდრიაში ბევრი ბერძენთა მშვენიერ ქერათმიანი ქალი იყო, ბროლის ფერ სახისა, რომელზედაც ეგვიპტეს მზის ცხარე სხივებს ნაზი, ქარვის ფერი დაედო. ცინნა ამ ქალთა ხვევნა ალერსში ეძიებდა სულის მშვიდობის მოპოვებას. როცა ამ ცდამაც ამაოდ ჩაუარა, ცინნამ თავის მოკვლა განიზრახა. ცინნას ბევრს ამხანაგს დაუსრულებია ასე თავისი სიცოცხლე და მათ ცინნაზედ უფრო ნაკლები საბუთი ჰქონიათ სიცოცხლის გამოსალმებისთვის. ერთი წამი,—და ყველაფერს ბოლო მოეღება. ცინნამ გადასწყვიტა, რომ ერთად ერთი სიკვდილი-ღაა ჩემი მხსნელიო. მაგრამ ამ დროს სიზმარი ნახა. მოესიზმრა, ვითომც ერთს მდინარეს გადადიოდა და როცა ნაპირს მიუახლოვდა, იქ დახვდა თავისი ხორც-შესხმული უცნაური გრძნობა, მოწიწებით თავი დაუკრა და მოახსენა: „მე შენზედ ადრე მოვედი შენ დასახვედრადაო“. ცინნამ პირველად იგრძნო შიში: მიხვდა, რომ თუ ეხლა ჰფიქრობდა საიქიოზე, იმ ქვეყანადაც ეს გრძნობა თან უნდა წაჰყოლოდა.

ცინნამ გადასწყვიტა, ალექსანდრიაში მყოფ ნასწავლ ბრძენ კაცებს გავიცნობ და იქნება იმათ მაინც გამაგებინონ, რა უცნაური გრძნობა მიხუთავს სულსაო.

ყველაზედ დიდი ნასწავლი და ცნობილი ბრძენი ალექსანდრიაში იმ ჟამად ათინელი ტიმონი იყო. რამდენსამე წელს სცხოვრობდა ტიმონი ალექსანდრიაში და სცდილობდა, ეგვიპტეს საიდუმლოებით მოსილი მეცნიერება შეესწავლა. ამბობდნენ, რომ ტიმონს ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში არც ერთი ეტრატი არ დარჩენია წაუკითხავიო; ამბობდნენ აგრეთვე, რომ ტიმონი ბრძენთა ბრძენიაო. ამასთანავე ტიმონი მშვიდის ხასიათის კაციც იყო. ცინნამ მალე გაიცნო ტიმონი და მალე დაუმეგობრდა კიდეც. კარგად გაიცნეს ერთმანეთი. ცინნამ ტიმონსაც რაღაც მწუხარება და სევდა შეატყო. ცინნას ძრიერა ჰსურდა ტიმონის მწუხარების მიზეზიც გაეგო და იმისთვისაც თავისი გული გადაეშალა.

### III

ერთხელ, საღამო ხანზედ, ცინნა და ტიმონი მარტოდ მარტონი იყვნენ ზღვის პირად, აივანზედ. ცინნამ ტიმონს უამბო ყველა ის, რაც სულს უხუთავდა და რისთვისაც ჰსურდა ტიმონის გაცნობა.

— ეს მაინც მოვიგე, რომ გაგიცანიო, დასძინა ბოლოს ცინნამ, ეხლა ის მაინც ვიცი, რომ თუ შენც ვერ ამიხსენი ჩემის სიცოცხლის გამოცანა, მაშინ ვერცარავინ სხვა გამოიცნობსო. ტიმონი დიდ ხანს ხმა ამოუღებლივ შესცქეროდა ზღვის კიდეს. შემდეგ ჰკითხა ცინნას:

— გინახამ შენ როდისმე ჩრდილოეთიდგან აქ მოსული ფრინველნი? იცი, რას დაეძებენ ეგვიპტეში?

— ვიცი. სინათლესა და სითბოს.

— ადამიანის სულიც სითბოს დაეძებს, რომელიც იგივეა, რაც სიყვარული, და სინათლეს, რომელიც იგივეა, რაც სიმართლე და ჭეშმარიტება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ფრინველთ კარგად იციან, სად ჰპოვებენ სინათლეს და სითბოს და ადამიანის სულმა-კი ეს არ იცის. მერე რატომ ვერ გაუგნია გზა ადამიანის სულსა?

— უწინ ადამიანი სულის მშვიდობას ღმერთებისაგან მოელოდდა, ეხლა რწმენა დაიწვა, როგორც ზეთი კანდელში. მერე ეგონათ, რომ ადამიანის სულს ფილოსოფია მზესავით მოჰფენს სიმართლის სხივებსაო. ეხლა, როგორც შენ თითონ იცი, რომში და ათინაშიაც გაჩნდნენ სკეპტიკები, რომელთაც ჰგონიათ, ადამიანის სულს სიმშვიდეს მივანიჭებთო, მაგრამ პირიქით უფრო ააშფოთეს ადამიანის გონება. რადგანაც, თუ სინათლესა და სითბოს უარ-ჰყოფ, სული ისევ სიბნელეში დარჩება და სიბნელი-კი ისევ ის სულის კვეთებაა. მაშასადამე, ისევ სიმართლე უნდა ვეძიოთ...

— განა შენ ჯერ ვერ ჰპოვე ეგ სიმართლე?

— ვეძიე, მაგრამ ვერ ვპოვე. შენ სიმართლეს სიამოვნება-განცხრომაში და დროს გატარებაში ეძიებდი და მე-კი ჭკუის ვარჯიშობასა და ფიქრში, მაგრამ ორნივე სიბნელეში ვიმყოფებით. კარგად იცოდე, რომ შენის სულის კვეთებაში მთელის ქვეყნის სულის კვეთება იხატება. დიდი

ხანია, რაც ღმერთები უარ-ჰყავი?

— რომში ყველასა სწამს ღმერთები. ახლებიც-კი მოაქვთ აზია და ეგვიპტედგან, მაგრამ ეს ღმერთები მარტო იმ სოფლელებს თუ სწამთ, რომელთაც დილით ბაზარში მწვანილი მოაქვთ გასასყიდად.

— და მხოლოდ ისინი არიან გულდამშვიდებულნი.

— და ისინიც, ვისაც აქ კატები ღმერთებად სწამთ და პატივსა სცემენ.

— და კიდევ ისინი, ვისაც მაძღარ პირუტყვებსავით, გაძღომის შემდეგ ძილის მეტი არა ჰსურთ-რა.

— მაშ თუ ეგრეა, ღირს-ღა რამე სიცოცხლე?

— მერე სიკვდილი რაღა სასურველია?

— მაშ თუ ეგრეა, რა განსხვავება ყოფილა შენსა და სკეპტიკებ შორის?

— სკეპტიკები ამ სიბნელით გულს იჯერებენ, კმაყოფილნი არიან, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ამბობენ, კმაყოფილნი ვართო, და მე-კი ეს სიბნელე მტანჯავს და სულს მიხუთავს.

— და ხსნას არსაიდამ მოელი?

ტიმონი ცოტას ხანს დადუმდა და წყნარად წარმოსთქვა:

— მე-კი მოველი ხსნას.

— საიდგან?

— არ ვიცი.

შემდეგ ტიმონმა, თითქოს იმ სიჩუმის გამო, რომელიც გარშემო სუფევდა, ნელის ხმით წარმოსთქვა:

— საკვირველია, ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, ამ ქვეყნად რომ იმაზე მეტი არა იყოს-რა, რაც ჩვენ ვიცით, და ჩვენ თითონაც იმაზედ მეტი არ ვიყვნეთ, რაცა ვართ, ჩვენს გულში არც რაღაც უცნაურს, მოუსვენარს გრძნობას ექმნებოდა ადგილი და არც სულის კვეთებას... აი სწორედ ამ უიმედო სულის კვეთებაში ვხედავ განკურნების იმედს... ოლიმპისა და ფილოსოფიის რწმენა გაჰქრა, მაგრამ შეიძლება ახალი სიმართლე, ახალი ჭეშმარიტება რამ დაიბადოს, რომელიც ჯერ არავინ იცის, რა იქმნება...

. . . . . . . . . . . . .

ამ საუბარმა, სრულიად მოულოდნელად, ცინნას გული დაუმშვიდა. როცა ცინნამ შეიტყო, მარტო მე არ ვიტანჯებიო, არამედ მთელი ქვეყანა საშინელს სენს შეუპყრიაო, გული დაუმშვიდდა და ისე თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს მხრებიდგან საშინელი მძიმე ტვირთი ჩამოაცალეს და ათასს კაცს აჰკიდესო.

IV

რამდენიც დრო გადიოდა, ცინნა იმდენად უფრო დაუმეგობრდა ტიმონს. ხშირად ხედავდნენ ერმანეთს, გასტეხდნენ პურს და შესჩიოდნენ გულის დარდებს. ცინნა ჯერ კიდევ იმდენად ახალგაზდა იყო, რომ სიცოცხლეს ერთი მიმზიდველი საგანი მაინც უნდა დაეტოვებინა მისთვის. ასეთი საგანიც მალე აღმოჩნდა. ეს გახლდათ ტიმონის ქალი—ანტეა.

ანტეას სახელი ტიმონის სახელზედ ნაკლებად არ იყო განთქმული ალექსანდრიაში. ანტეას აღმერთებდნენ კეთილშობილნი რომაელნი, აღმერთებდნენ ბერძნები, სერაპიუმის ფილოსოფოსნი და მთელი ეგვიპტეს ხალხი. ტიმონი თავის ქალს ოთახში არ ჰკეტავდა, როგორც სხვები. წამოიზარდა თუ არა ანტეა, მამა უკითხავდა ბერძნულს, ლათინურს და ებრაულს წიგნებს. ანტეას საკვირველი მეხსიერება ჰქონდა და მალე შეისწავლა ყველა ეს ენები. ანტეა კარგი მეგობარი იყო თავის მამისა. ხშირად იმ კამათობაში ჩაერეოდა ხოლმე, რომელიც ტიმონის სახლში ასტყდებოდა პატივცემულ მსწავლულთა შორის და ხშირადაც აკვირვებდა ყველას თავის ჭკუა გონებით. მამა დიდს პატივსა სცემდა თავის ქალსა. მოხუცს ბრძენს ისე უყვარდა ანტეა, როგორც თავისი სული და ეშინოდა კიდეც ბედმა არ წამართვასო, რადგანაც ანტეა ხშირად ამბობდა, სიზმარში რაღაც უცნაური მტრები მეჩვენებიან ხოლმეო, ხშირად რაღაც ნაირ ნათელსაც ვხედავ, და არ ვიცი-კი ეს ნათელი რას მოასწავებს, სიცოცხლის სათავეა იგი, თუ სიკვდილისაო.

ჯერ-ჯერობით ანტეა მხოლოდ ყველა მხრიდგან სიყვარულს ხედავდა. ეგვიპტელები ანტეას ლოტოსს ეძახდნენ, იქნება იმიტომ, რომ ამ ყვავილს ნილოსის ნაპირების მცხოვრებნი დიდს პატივს სცემდნენ, ან იმიტომ, რომ ვინც ანტეას ერთხელ ნახავდა, მთელი ქვეყანა დაავიწყდებოდა.

ანტეას გონებას არც მისი სილამაზე ჩამოუვარდებოდა. ეგვიპტეს მზე არ მოეკიდა მის სახეს, რომელშიაც თითქო ვარდის ფერ მთიებს მოეყრიათ თავიო. ანტეას თვალებში მთელის ნილოსის სიმშვენიერე იხატებოდა, თვალებს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ამ გამომეტყველებას ისეთსავე საიდუმლობით მოცულს სიღრმეში აქვს სათავე, როგორც ამ საკვირველს და საოცარს მდინარეს—ნილოსსა. როცა ცინნამ პირველად ნახა ანტეა და პირველად გულს მოხვდა ანტეას ტკბილი ხმა და შინ დაბრუნდა, გულში იმ წამსვე სურვილი დაებადა, ჩემს სახლში ანტეას საკურთხეველი უნდა აუგო და მსხვერპლად თეთრნი მტრედნი შევსწიროვო. რამდენი ქალი უნახავს ცინნას თავის სიცოცხლეში? ჩრდილოეთის მცხოვრებ ქალებიდგან დაწყობილი, რომელთაც თეთრი წამწამი და თაფლის ფერი თმა სახეს უმშვენებდა, ვიდრე გიშერსავით შავგვრემან ნუმიდიის ქალებამდე, მაგრამ ანტეას სახისა და გულის ქალი ჯერ არ შეხვედრია. რამდენადაც უფრო ხშირად ჰხედავდა ცინნა ანტეას, რამდენად ხშირად სტკბებოდა ანტეას ლაპარაკით, იმდენად მეტად იპყრობდა განცვიფრება ცინნას გულს. ცინნა, რომელსაც ღმერთები არა სწამდა, ხანდახან ჰფიქრობდა, ანტეა ტიმონის ქალი არ არის, ანტეა უკვდავი ქალია, ციდგან მოვლენილიო და ღვთაებად მიაჩნდა.

მალე შეუყვარდა კიდეც ანტეა წარმოუთქმელის, განუსაზღვრელის და უძლეველის სიყვარულით; ეს ახალი სიყვარული ისე არა ჰგავდა ცინნას წინანდელ ქალთა გამიჯნურებას, როგორც თვით ანტეა არა ჰგავდა სხვა ქალებს. ცინნა მზად იყო უკანასკნელი წვეთი სისხლისა შეეწირა, ოღონდ-კი ანტეა იმისი ყოფილიყო. ცინნა ჰგრძნობდა, რომ ათასწილად ერჩივნა უკანასკნელ გლახაკად გამხდარიყო და ანტეა-კი მისთვის დაეკუთვნებინათ, ვიდრე მეფობა ებოძებინათ უანტეოდ. ჵ როგორც ზღვის მორევი შთანთქავს ხოლმე ყველა იმას, რაც ამ მორევში მოჰყვება, ისე ანტეას სიყვარულმა შთანთქა და შეიპყრო ცინნას გული, სული, ფიქრი, დღე, ღამე, ესე იგი, ყველა ის, რაც ადამიანის სიცოცხლეს შეადგენს.

შემდეგ სიყვარულმა ანტეას გულიც შეიპყრო.

— Tu felix, Cinna! (ბედნიერი ხარ, ცინნავ)—ეუბნებოდნენ მეგობრები.

— Tu felix, Cinna!—ეუბნებოდა ცინნაც თავის თავს ჵ როცა ანტეას ღვთაებრივ ბაგეთ ღვთიური სიტყვები წარმოსთქვეს: „საცა შენ, ქაი, იქ მეც—შენი ქაიაო“, ცინნას ეგონა, რომ მისი ბედნიერება ზღვას ეგვანება, უსაზღვროს, თვალ-გადუწვდენელს.

(შემდეგი იქნება)

---

## დეპეშა

22 მარტი

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი სწირავს ასტრონომიულს საზოგადოებას ას-ას თუმანს ყოველ წელს ჯილდოს მისაცემად იმათთვის, ვინც უკეთეს თხზულებას დასწერს ასტრონომიისა და გეოდეზიის შესახებაო.

„Тор. промыш. Газета“ იუწყება, რომ ამ წლიდამ ხაზინიდამ მიეცემათ სახარჯო ფული იმათ, ვინც ისეთს საქმეს მოახერხებს, რომელიც სასარგებლო იქნება ციმბირის რკინის გზის გაკეთებისათვისაო.

„ა. ზინგერისა და კამპ.“ გაკოტრებულ კანტორის კრედიტორების საზოგადო კრებაზე გამოირკვა, რომ მოვალენი მიიღებენ $4^1/_4$ კაპეიკს თითოეულ მანათზე, ან გარემოებათა მიხედვით, ამაზე მეტსაც. კანტორა განზრახ გაკოტრებულა; ლიკვიდატორად არჩეულ იქმნა ნაფიცი ვექილი ლ. ა. სტეფანოვი.

23 მარტი

**სტამბოლი.** ხუთშაბათს პოლიციამ შეიპყრო სომეხი, რომელიც გამოგზავნილი ყოფილა ათინის კომიტეტისაგან ამ ჟამად სტამბოლში მყოფ სომეხთა პატრიარქის კორანის მოსაკლავად. ეს პატრიარქი არ უყვართ, რადგანაც ოსმალეთის მომხრეაო, და ჰფიქრობენ, იქნება მის საწინააღმდეგოდ აღდგომას დემონსტრაცია გამართონო.

**პარიჟი.** პუანკარემ უარი განაცხადა ფინანსთა მინისტრობას ვერ ვიკისრებო; ამის გამო მელინიც არ დათანხმდა კაბინეტის შედგენას. პრეზიდენტმა კარნომ მიანდო წინანდელ კაბინეტში საერო ვანათლების მინისტრად ნამყოფს დუპუის ახალი კაბინეტი შეადგინეო. დუპუი დათანხმდა.

---


## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახების**, **ხეხილიანის ბაღებისა**, **თამბაქოსა**, **სვიისა**, და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის**. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—9) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

---

ა. რალლე და კომპ.

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

**იაპონური საპონი „მუსმე“**

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.

---

# მეფარხნეეზი

საფაჭრო სახლი

## ბენდერ-სტეფანოვი

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—15)

---

ახლად გამართული

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—47)


Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Марта 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.